B. S. GROUP

შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"

LLC "COMPANY BLACK SEA GROUP"

თარიღი:25.06.2019

BSG-OUT-MNG-COR-0487

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2017 წლის 16 ნოემბერს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპზე" გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N56, ასფალტის წარმოებაზე. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში განხილული იყო, რომ ასფალტის წარმოება უნდა განხორციელებულიყო გერმანული წარმოების „LINTEK CSD 1500" მობილური ტიპის დანადგარზე, რომლის წარმადობა შეადგენდა 120ტ/სთ-ში.

საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნულ საქმიანობაზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაცემის მოთხოვნით კომპანიამ მიმართა სამინისტროს მიმდინარე წლის 12 ივნისს .

გაცნობებთ, რომ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი" კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავს ზემოთ მითითებული დანადგარის სხვა კერძოდ, გერმანული "BENNINGHOVEN" მარკის "MBA 1250"- ტიპის მობილური დანადგარით ჩანაცვლებას 2-3 წლის ვადით, რომლის წარმადობა შეადგენს 100 ტ/სთ. დანადგარის ჩანაცვლებით ასფალტის წარმოების ტექნოლოგიური სქემა არ შეიცვლება.

აქვე გაცნობებთ, რომ კომპანია გასულ პერიოდში გეგმავდა არსებული დანადგარის სხვა კერძოდ იტალიური წარმოების "ТОП ТОВЕР 300/MARINI" მობილური დანადგარით ჩანაცვლებას და წარმადობის გაზრდას, რის თაობაზეც მიმართა სამინისტროს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-111; 28.02.2018-ით მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი"-ს ასფალტის ქარხანაში მობილური დანადგარის შეცვლისა და წარმადობის გაზრდის პროექტი არ დაექვემდებარებოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის 5.3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71; ტელ.: +995 322 207 474/75 ფაქსი: +995 322 207420
71 Vazha-Pshavela Ave., 0186 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 322 207 474/75 Fax: +995 322 207420
info@bsg.com.ge; www.bsg.com.ge

№ 9185
"25" 06 2019
211 ფ.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი N1 – „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები;

პატივისცემით,

ამირან მამუჭაძე

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი"–ს დირექტორი

0101

25.06.2019

BSG-EIAT-MNG-CDR-0487